



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

29 აპრილი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №120

გივი ყაზაიშვილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის
ზომის გამოყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის საოქმო მომსახურების საკითხებში გივი ყაზაიშვილის, მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის რიგგარეშე სხდომაზე წარმოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების (რითაც შეურაცხყო საკრებულო) გამო სხდომის მიმდინარეობის ხელშეშლის საფუძველზე, მიეცეს გაფრთხილება, დისციპლინური გადაცდომისათვის და სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი